**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 98 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 98

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.





ცირკი ძმ. ნიკიტინების

კვირას, 25 აპრილს,

**უკანასკნელი წარმოდგენაა.**

დანიშნულია კავკასიური

## ჭიდაობა.

სხვათა შორის უკანასკნელი გასტროლი გამოჩენილი ნეგრის სანგელეზის **მისტერ რანნი**; გააკვირვებს ყველას თავის ხელოვნებითა. ჯერ არ ნახული კავკასიური იჭიდავებს **ჯონ-პოლ-აბსი რუსიშვილთან**, ჯილდო 50 მან. რომელიც თვით **აბსმა** დანიშნა, მე-2 ჭიდაობა გამოჩენილ რუსი-მოჭიდავე **მიხაილოვი** დაეჭიდება **ცერაძეს**, ჯილდო 25 მან., რომელიც თვით მიხაილოვმა დანიშნა. ბოლოს კომიკური პონტომიმა. დაწვრილებით პროგრამებშია.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

(1—104—1

---

# ახალი წიგნი

ს. ს. მელიქ-ადამოვი

ნაფიცი ვექილი

## პრაქტიკული სახელმძღვანელო

სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების ქაღალდების შესადგენად ამიერ-კავკასიაში,

## ПРАКТИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО

**для составленія бумагъ по дѣламъ Гражданскаго Судопроизводства въ ЗАКАВКАЗСКОМЪ КРАѢ.**

**ფასი 1 მან.**

ისყიდება ტფილისში: წიგნების ცენტრალურ სავაჭროში და ხიდიკელის და გუტენბერგის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს 10 ეგზემპლიარზედ მეტს 10 % დაეთმობათ და გასაგზავნ ფასსაც არ გადაიხდიან.

---

გამოვიდა ‡ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

# ლალაში

**დრამა-ლეგენდა** თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,

თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის" ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.**

---

ს.-პეტერბურგის კომპანია

# „ნადეჟდა"

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირ ი, გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

## დაარსებულია 1847 წელს

| | |
|---|---|
| **მარითადა თანხა** . . . . | 1.650.000 მან. |
| **სათადარიგო თანხა** . . . . | 2.664.808 მან. |

**დაზღვევის ოპერაციები.**

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან უოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა უოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა ფულისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულებს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებს 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განთვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433.

(50—6.—30)

---

# თავმჯდომარე

გორის სატელეგოგიო საბჭოსი

ანასტასიის ქალთა პროგიმნაზიისა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ **გამოსაცდელი ეგზამენიები** მისაღებად, როგორც მოსამზადებელ კლასში, აგრეთვე 6 ძირითად კლასებში, დანიშნულია 20 ამა მაისიდგან.

(3—უ—2).

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთ შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

## ქაჯანა

2.

## ალი

მოთხრობა მესივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-იდ დებითაც შემდეგის ადრესით: **Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.**

---

# იძლევა ქირით

1 მაისიდგან ამა წლისა სათავად-აზნაურო სახლებში, სასახლის ქუჩაზედ მაღაზიები №№ 21 და 97, რომლებიც ამ ჟამად უჭირავთ მინასოვებს. ყოველ ცნობების გაგება შეიძლება იმავე შენობაში მამულების საქმეების მმართველ კანტორაში.

(10—6—6)

---

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 16° გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა».

ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

---

ამ წლის 2 მაისს „ტფილისის საკრებულოს"

## საზაფხულო ბაღში

მიხეილის პროსპექტზე

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

გაიმართება

# სეირნობა

**საქველ-მოქმედო ბაზრითურთ**

ბაღში სეირნობის დროს დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, იმღერებს ქართული ხორო; გაიმართება საბავშვო გასართობი, კიოსკები, ბედის ქვევრი, ფოსტა ‡ ცოცხალი სურათები. დასასრულ

## ცეკვა

ყოველგვარი შემოწირულება მიიღება: ტფილისში, საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა) და კნ. ოლღა თადეოზის ასულ პავპავაძესთან (ელისაბედის ქუჩა, სახლი № 95).

(20—14)

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ეორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

---

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა. № 5

---

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კახეთის ქუჩა, № 19.

---

**ვაჩნაძე სპირიდონ**. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

---

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა**, ელისაბედის ქუჩა, № 41.

---

**დიასამიძე ალექსანდრე**,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

---

# კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

ა. ნ. **დიასამიძე**. 11 —12 საათ.

ა. ტ. **მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. **მაღალაშვილი**. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ა. დ. **ლამბაშიძე**. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. **მონინი**. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. **გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი მ. ძ. **იოსელიანი** —ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ზრ. მ. სობოლევსკი** —დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

პ. ა. **ბეიერი**. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

მ. მ. **მანსვეტოვი**—შ ნაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10 —12 საათ.

**საღამოთი:**

ა. გ. **მაღალაშვილი**. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274

(წ.)

---

# პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

უ. მ. **ჩიქოვანი**. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ზ. **ავეტისიანცი**. 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. **ბაბანასოვი**. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. **გძელიშვილი**. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. **თარხანოვი**. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. **ქარაპეტიანცი**. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. **სოლოლაშვილი**. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

ნ. ნ. **როსტომბეგოვი**. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

მ. ს.ე **ლმი**. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა**. 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. **თარხანოვი**. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ს. ტ. **არვანიტაკი**. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ძ. ბძელიშვილი**.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წ.


---

# ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

—

რუსეთის განზრახვა. პორტ-არტურის ესკადრა რუსების ფინანსები. პოლიტიკური სიცრუვე. გრაჟდანინისაგან უარყოფილი ჭორები. ეპისტოლე მანჯურიის კეთილ-მორწმუნეთა მიმართ.

ომის დაწყებისა თანავე, რუსეთის სამხედრო შტაბს მხედველობაში ჰქონდა მიღებული ის გარემოება, რომ იაპონიას უფრო ძლიერი ფლოტი აქვს და პირველ ხანს მეტი ჯარის გადაყვანა შეუძლიან კუნძულებიდგან კორეიასა და მანჯურიაში. ამიტომ სამხედრო შტაბმა სწორედ ამ გარემოების მიხედვით შეიმუშავა გეგმა რუსის ჯარის მოქმედებისა, რომელსაც მტკიცედ ასრულებს კიდეც. სრულიად გასაკვირველი არ უნდა იყოს, ამბობს რუსკი ვედ.,-რომ ჩვენმა ჯარმა მდინარე იალუს ნაპირიდგან ფონ-სუანჩენისკენ დაიწიოს და თან და თან მანჯურიის რკინის გზას დაუახლოვდეს. უმთავრესი ომი მაშინ მოხდება, როდესაც იაპონიის ჯარი მანჯურიის შუაგულს შემოვა და მცირე გამარჯვებით გაგულადებული უფრო და უფრო წინ წამოიწევს. ზაფხულის გასულს იაპონელთა ჯარს ცუდი დღე დაადგება, როდესაც გენერალი კუროპატკინი თავის ჯარს შეაგროვებს და დასვენებულის ჯარით იაპონელთა მოქანცულს ჯარს თავს დაატყდება.

პირველი მძლავრი შეტაკება რუსისა და იაპონიის ჯარებისა მდინარე იალუზე მხოლოდ არტილერიის გამოცდა იყო. გენერალ-ზასულიჩს 70-80 სავაკე ზარბაზანი უნდა ჰქონოდა, რომელთაგან იაპონელებს გადმოსვლის დროს მდინარე იალუს ბოლოსთან ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებდა მხოლოდ 60 ზარბაზანი. იაპონელებს კი ერთი ორად მეტი ზარბაზანი ექმნებოდათ და მათგან დიდი საციხო ზარბაზნები, რომლის ბადალი ჩვენს არტილერიას არ მოეპოვებოდა, მაინც და მაინც, თუმცა იაპონიის ჯარი მდინარეს გადმოვიდა და წინ წამოვიდა, მაგრამ ყოველი ნაბიჯი მეტად ძვირად დაუჯდა.

მდინარე იალუს მარჯვენა ნაპირიც იაპონელებმა დაიჭირეს, როგორც დეპეშები იუწყებიანო, ამბობს „მოსკოვ. ვედომოსტი".

«ერთი ნაწილი ჩვენი ჯარისა ფინ-სუან-ჩენისკენ დაბრუნდა და გზა და გზა ფეხმოსაჭიდ ადგილებზე ისვენებს; მეორე ნაწილი კი ისევ უნდა ებრძოდეს მტერს...

ბევრი ჩვენგანი კითხულობს: უკან რად ვიხევთ, რატომ მდინარე იალუსთან მრისხანედ არ შევებრძოლეთ და არ შევაჩერეთ მტერი, რატომ ბუნებრივის სიმაგრით არ ვისარგებლეთ, რომ მტერი დაგვემარცხებინა!.. ზოგს ისიცა ჰგონია, რომ, როგორც ზღვაზე, ხმელეთზედაც ბედმა გვიმტყუნა, სადაც მარად თავს კარგა ვგრძნობდით და გამოცდილება მარად გვამხნევებდა...

ჩვენის ჯარის უკან დაწევა მდინარე იალუს ნაპირიდგან წინადვე გვქონდა გადაწყვეტილი. შესაძლოა, არ გვესიამოვ-

ნებოდეს, მაგრამ ეს უმთავრეს გეგმის ასრულებაა, რომელიც დიდის მოფიქრების ნაყოფია.

რაკი მდინარე იალუს ნაპირის დაცვას არა ვფიქრობდით, ამიტომ იქ არც საკმარისი ჯარი გვეყენა, რომ სამჯერ უმრავლეს მტერს გამაგრებოდა...

გენერალ ზასულიჩის უკან დახევას ჩვენ არა ვითარ მნიშვნელობას არ ვაძლევთ. ვიმეორებთ, ეს მხოლოდ გეგმის ნაწილის აღსრულებაა და მისი დაფასება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც მთელი გეგმა უმეტ-ნაკლებოდ განხორციელებულ იქმნება.

პეტერბურგელი კორესპონდენტი «პატარა პარიჟი»-ს გაზეთისა სწერს:

რუსეთის ჯარის მთავარ-სარდალმა კუროპატკინმა უბრძანა რუსის ჯარის მოწინავე რაზმებს, ნელ-ნელა უკან დაიხიეთ, რომ იაპონელები დაგედევნონ და წინ წამოვიდნენო. ესეთი სამხედრო გეგმა აქვთ თურმე რუსებს შემუშავებული. ერთმა წარჩინებულმა კაცმა მითხრა, რომ რუსები სცილობენ სამს კვირას მაინც შეაგვიანონ მეომარ ჯარების ერთმანერთთან შეხლა. გენერალ კუროპატკინს არა სურს, რომ ტყუილ-უბრალოდ და უნაყოფოდ სისხლი ილვრებოდეს, რის გამოც მცირე შეტაკების წინაალმდეგია და განზრახვა აქვს ერთბაშად დაჰკრას და იაპონიის ჯარი გაანადგუროსო.

20,000 რუსი მდინარე ტუბენს გადასულა და გაჩქარებით კორეასკენ მიდის ეს ჯარი 350 მილს ერთ კვირაში გაივლის და მდინარე იალუს მარცხენა მხარეს სწორედ იმ დროს გაჩნდება, როდესაც გენერალი კუროპატკინი მთელის თავის ჯარით იაპონიის ჯარს დაეცემა. ბრძოლა ცხარე იქმნება და ომსაც ბოლო მოეღება, რადგან იაპონიის ჯარი სულ დაილუპებაო. (ნოვ.).

—

პორტ-არტურის ესკადრა, როგორც სჩანს, ნავთსადგურიდგან გამოსვლას აღარ აპირობს, ვიდრე დაზიანებული გემები არ შესწორდება,—ამბობს «რუს. ვედ.» ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ 1 აპრილიდგან ნავთსადგურის გარშემო ნაღმს აწყობდნენ. შესწორება ეპირება 3 საესკადრო ჯავშნიან გემსა და 2 კრეისერს. როდის გათავდება მუშაობა, ჯერ არ ითქმის. ყველაზედ ადრე «პალადა» შემზადდება, უფრო მეტად ყოფილა დაზიანებული, ვიდრე პირველად ეგონათ, და ორის კვირის მაგიერ შეკეთებას ორ თვეზე მეტი მოუნდა. ჯავშნიანი გემი «პობედა» იაპონიის ყუმბარასაც-კი არ დაუზიანებია, იმ დროს, როდესაც «პეტროპავლოვსკი» დაიღუპა, არამედ ჩვენის ესკადრის გემს დასჯახებია, ვგონებთ, „ნოვიკს“. თუმცა «პაბედა» დიდად არის დაზიანებული, მაგრამ მისი შეკეთება ძნელი არ არის, მეტადრე თუ გაჰბედეს და დოკში შეიყვანეს, (დოკის შესავალი მხოლოდ 6 დიუიმით არის «პობედაზე» განიერი). «რეტვიზანის» შეკეთებაც რიგზე მიდის. ეს ხუთი დაზიანებული გემიც რომ გაკეთდეს, მაშინ პორტ-არტურის ესკადრაში 12 სამხედრო გემი იქმნება, 144 ზარბაზნით, რომლებიც ერთბაშად 811 ფუთს ტყვიას გაისვრიან. იაპონელების 13 გემი კი 140 ფუთით მეტს ისვრის. მალე რომ დამზადდეს ის ნაღმოსნები, რომლებიც პორტ-არტურში ნაწილ-ნაწილ მიიტანეს დაშლილი, მაშინ, რუსის ესკადრას, ადმირალ სკრიდლოვის უფროსობით, 51 გემი ექმნება და იაპონიის ესკადრას ადვილად გაუსწორდება. თუ რომ ბალტის ზღვის ესკადრაც დროით მიეშველა პორტ-არტურისას, იაპონია ზღვაზედ ვეღარას გახდება.

რუსების ფინანსების შესახებ ინგლისის პარლამენტის დეპუტატი გენრი ნორმანი გაზეთ «ტაიმსში», სწერს სხვათა შორის:

რადგან ამჟამად ბევრს ლაპარაკობენ რუსეთის ფინანსების გამო, უნდა გავიხსენოთ, რომ რუსეთის სახელმწიფო ბანკს ხელუხლებლად აქვსო 584,000,000 მანათი ნაღდი ფული და ოქროს ზოდები მე ეხლახან შემთხვევა მქონდა დამეთვალიერებინა პეტერბურგის ბანკი, სადაც მთხოვეს შემემოწმებინა ეს ნაღდი ფული იმ წესით, როგორსაც კი მე მოვისურვებდი, და ამასთანავე ანგარიშიც მაჩვენეს. ჩემი მოხსენება ამ საგნის შესახებ მე სახელმწიფო ხაზინას მივართვი და მასთანავე წარვუდგინე ნაღდ ფულისა და ოქროს ზოდების ფოტოგრაფიული სურათიო. ნორმანის ანგარიშით რუსეთს ნაღდ ფულად აქვს სამხედრო საჭიროებისათვის 484,000,000 მილიონი მანათი (ნ. ვ.).

გაზეთი «ნოვოსტი» სწერს:

პოლიტიკური ცრუ-მორწმუნოება მეტად სახიფათოა, მასთან ბრძოლა გასაჭირია და ძლევა ხომ შეუძლებელია, მეტადრე თუ ცრუ-მორწმუნოება გაუგებრობის შედეგი კი არ არის, არამედ განგებ შეთხზულია, ხალხის მოსატყუებლად.

ჩვენში ინგლისელები არ უყვართ. რად? იმად რომ არ იცნობენ და არც გაცნობა უნდათ. რუსეთის პუბლიცისტები, რომლებიც ინგლისელებს ლანძღავენ, მეტად რეგვნები არიან, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიან, რაც უფრო თამამად დაუწყებენ ლანძღვას ინგლისელებს, უფრო მეტს თანაგრძნობას დაიმსახურებენ ერთ გვარ მკითხველთა შორის. ამის გამო ეს პუბლიცისტები თავის კეთილ-დღეობას ველურ და უაზრო ლანძღვაზედ ამყარებენ. უკანასკნელი მითქმა-მოთქმა შუამავლობის შესახებ ჩვენის აზრის დამამტკიცებელია. რა არა სთქვეს ზოგიერთმა რუსის პუბლიცისტებმა ინგლისის მიმართ იმის გამო, რომ ინგლისი ვითომც შუამავლობას აპირებდა მეომართა შესარიგებლად. მერე რა გამოდგა? თურმე მითქმა-მოთქმა სულ ტყუილი ყოფილა. ახლა რა მდგომარეობაში ჩააყენეს თავისი თავი ამ პუბლიცისტებმა? შერცხვათ? სრულიადაც არა. სინიდისმა ამხილა?—აბა რა! ისინი უმეცრულადვე იბრძვიან ინგლისის წინააღმდეგ გაზეთის ფურცლებზე და ავიწყდებათ, რომ ამით ბევრად ავნებენ რუსეთს...

დაუსრულებელი ქიშპობი ინგლისთან უფრო გვაუძლურებს და გვაბკოლებს აზიაში მშვიდობიანად ვიმოქმედოთ, როდესაც გვეუბნებიან, ჩვენი და ინგლისელების ინტერესები ერთმანერთს ვერ შეუთანხმდებიანო, ტყუილს გვეუბნებიან. საფრანგეთს—ინგლისის მორიგებამ, შესახებ ეგვიპტისა, მაროკოსი და სხვა ქვეყნებისა, დაგვარწმუნა, რომ განგებ მოგონილი უთანხმოება ადვილად გაქარწყლდება, თუ რომ ორივე გულით მოისურვებს, მშვიდად მოიაზრებს და ერთმანერთს თავაზიანობას გაუწევს.

—

«მეტის-მეტად დახელოვნებული და განვითარებული ჭორთა მკრებელი თავადი მეშჩერსკი, «პეტ. ვედ». სიტყვით, შემდეგ ახალსა და ნორჩს ჭორებსა სწერს თავის »გრაჟდანინში».

პეტერბურგი ყოველ დღე ახალ-ახალ ამბებსა სთხზავს დაავრცელებს ომის შესახებ. ეხლა ეს ავადმყოფობად გადაქცეულა. თუ ერთს დრეს ოფიციალურმა ცნობებმა შეიგვიანა, მეორე დღესვე რამე ახალი უნდა მოიგონონ.

ეს ექვსი დღეა, რაც კუროპატკინზე ლაპარაკობდნენ. ჯერ ამბობდნენ, სადღაც ბრძოლა უთვილა და დაუჭრიათო. მერე მეორე ხმა გავრცელდა: ვითომც მზარეულს მოუწამლოს კუროპატკინი და მზარეული ტანთსაცმელ შეცვლილი იაპონელი ყოფილაო. საიდგან გაჩნდა ეს ჭორი? როგორც სჩანს, უბრალო ამბავს გამოუწვევია: გენერალ კუროპატკინის ადიუტანტს აქედგან თავისი მზარეული დაუბარებია და ეს მოწამლვად გადუკეთებიათ.

აი უფრო საუცხოვო ჭორი: პორტ არტურიდგან „რუსეთის სააგენტო იტყობინებოდა დეპეშით, წყალ-მავალი ნავ-გემი შეამოწმეს და ჩინებული რამ ყოფილაო.

— მაშასადამე, ყველა ამბობს, თუ შეამოწმეს, წყალში მავალი ნავები მართალა გვქონიაო..

— მერე საიდგან გაჩნდნენ: — ეკითხება მეორე.

— ამერიკიდგან მოუტანიათო...

მე შევკრიბე ცნობები, სადაც ჯერ არს, და მათ მითხრეს, რომ არავითარი მაგ გვარი ნავ-გემი პორტ-არტურში არა გვაქვსო.

მაშ რას ნიშნავს «რუსულის სააგენტოს» დეპეშა? ინგლის-იაპონიას ხომ არა ჰბაძავს სიადმეო ჭორების თხზვაში,, რომ ამით გული გაგვიმაგროს?ვარწმუნებ „სააგენტოს“,რომ ამისთანა გამხნევება ჩვენთვის სრულიად საჭირო არ არის.

## ტფილისი

*** ტფილისის «საარტისტო საზოგადოების» საბჭოს თამჯდომარედ ნაცვლად ი. ი. ფითოევისა არჩეულ იქმნა პ. ა. ოპოჩინინი.

*** ტფილისის ქალაქის მოურავი ხელმეორედ გახდა ავად, ამიტომ 22 აპრილიდგან მის თანამდებობას თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი ასრულებს.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა მისწერა ყველა უბნების ბოქაულთ, დაათვალიერეთ ყველგან სასმელების დუქნებიო. ის დუქნები, რომელიც სარდაფებშია მოთავსებული, დახურულ იქმნებიან და არც შემდეგში მისცემენ ნებას ქვედა სართულში სასმელების დუქნის გახსნისას.

*** ახალქალაქის მაზრაში საქონლის ჭირი გაჩენილა.

*** უსინათლობისათვის მზრუნველი საზოგადოების კასაში 1904 წლის პირველ მარტის თვეს ყოფილა-12.5 93 მანეთი 67 კაპ., მარტის განმავლობაში შემოსულა-4277 მანეთი 86 კაპ., სულ გამხდარა-16.871 მან. 53 კაპ.; ამავ თვეში დახარჯულა-2.586 მან. 52 კაპ. პირველ აპრილისთვის დარჩენილა-14.285 მან. 1 კაპ.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობა მოკლე ხანში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებს დაარსებს შემდეგ სოფლებში: ლაილაშსა (ლეჩხუმის მაზრა), საჩხერესა (შორაპნის მაზრა), სადმელსა (რაჭის მაზრა), ჰრებალოსა (ლეჩხუმის მაზრა). ჩხარს (შორაპნის მაზრა), ხარაგაულსა, (შორაპ. მაზრა) და ბანზაში (სენაკის მაზრა).

*** ტფილისის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში ეგზამენები დაიწყება 26 აპრილს ორშაბათს. სწავლა ასე ჩქარა იმიტომ უნდა შესწყვიტონ, რომ სასწავლებლის შენობის შეკეთებას აპირებენ.

*** თავად. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის მოურავის მოადგილედ.

*** ტფილისის საარტისტო საზოგადოების“ მამასახლისთ დაადგინეს, გვირგვინით შეამკონ განსვენებულის ი. ი. ფითოევის კუბო და მისს დასაფლავებას დაესწრნენ.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი მ. ს. ზავადსკი, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგშია სამსახურის საქმეთა გამო, ამ დღეებში დაბრუნდება ტფილისში.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ აცნობა ტფილისის ქალაქის გამგეობას, ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესს სამართველოს არა სურს, ქალაქის გამგეობას გადასცეს ტფილისში ტელეფონის წარმოებაო.

*** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „მალვა ანუ მტკიცე პირობა“, თარგმანი ფრანგულიდან პატრის დონ-გაბრიელ ასლანიშვილის მიერ, გამოცემა ზაქარია ჭიჭინაძისა. ფასი წიგნისა ერთი შაურია.

*** მეორე ახალი წიგნიც მიიღო რედაქციამ: „ქართველ კათოლიკეთ მოღვაწე ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი)“, ზაქარია ჭიჭინაძისა. წიგნი 40 გვერდს შეიცავს და ღირს სამ შაურად.

*** 20 აპრილს ვასქას სობორს კალავანში ვიღაც ქურდმა ნაფიც ვექილის დოლუხანოვს ამოაცალა ოქროს საათი ოქროსავე ძეწკვით, ღირებული 350 მანეთად

*** 22 აპრილს რიყეზე ცხენას რკინის გზის ვაგონში უეცრ მოკვდა ტფილისის მაზრის მცხოვრები, გლეხი დიმიტრი ბენეტიშვილი.

*** 22 აპრილს სტეფან მირზოევის დუქნიდან, სარაჯიშვილის ქუჩაზე, ვიღაცს 90 მნეთი გაუტანია. ქურდი დღესაც არ იციან ვინარის.

*** ქალაქის გამგეობამ განიზრახა, მოკლე ხანში გამოსცეს სავალდებულო დადგენილობანი, რომლის ძალითაც სასტიკად აკრძალებათ მცხოვრებთ ქუჩაზე დარგულ ხეხილის დამტვრევა, ან ტოტების შეჭრა. სავალდებულო დადგენილობათა გეგმის შედგენას გამგეობა განსაკუთრებულ კომისიას მაანდობს.

## საერო მასწავლებელთა კურსები შვეიცარიაში *).

### I

შვეიცარიაში, ნევშატელის კანტონში; იმართება საერთო განათლების დეპარტამენტის მიერ სავაკაციო კურსები პირველ დაწყებით სკოლათა მასწავლებელ კაცთა და ქალთათვის. ეს კურსები დაარსებულია შვეიცარიის მასწავლებელთა და პედაგოგიურ საზოგადოებათა შუამდგომ-

*) „Русск. Начальн. учитель-იდგან.

---

## ფელეტონი

### შურდული

(საკვირაო გაზეთი).

№ 15.

წელიწადი მეორე.

### ააჰ-ვაააჰ!

(შემდეგი *)

### IV

ამ ქვეყნური კმაყოფილებით (ღვინით და ქალებით) მოყირჭებული კინკიბაძე სამსახურის შემდეგ ხან გოლოვინის პროსპექტსა და მუშტაიდში დაესეირნობდა (უმეტესად დღესასწაულებში), ხან «პურლევინოსა» და მის მზგავს გასართობებში ატარებდა დროს: თუ ფული ჰქონდა, «გაიკარტოჟნიკებდა» ხოლმე, თუ არა და რომელსამე მოთამაშე ჯგუფთან აიტუზებოდა, სხვების თამაშობის ცქერით თვალებიდან წყალი მოსდიოდა, გულს იმჯიდავდა, კბილებს აკრაჭუნებდა და ხანდახან ისეთის გამომეტყველებით დააშტერებოდა, ისეთის ყურადღებით აღევნებოდა თვალ-ყურს, თითქო იმ წუთს იმის თვალწინ კაციობრის სამკვდრო-სასიცოცხლო ბედი უნდა გარდაწყვეტილიყო.

### V

„საკარტოჟნიკო“ საღამოებზე ჩვენი გმირი საკმაოდ გაიწრთვნა, ლანძღვა-გინების ლექსიკონი ერთი-ორად შეივსო. ამ ცხოვრების სიბინძურეში გამობრძმედების დროს არა ერთხელ ჩააჩერებდნენ ხოლმე ახალ ამბავთა „საქვეო ფურცლებს“, რომელთაც საიმისო ყურადღებას არ აქცევდა—სად ეცალა—„საკარტოჟნიკოების“ გარდა, კინკიბაძე ნაცნობ-ნათესავთა ოჯახებშიაც დაიარებოდა «ჭრელი სუფრის» გასაშლელად, რომელზედაც ამა თუ იმ მთის ახალს ჭორებს გადაჰფენდა ხოლმე... ყველაზე ადრე კინკიბაძემ იცოდა: ესა თუ ის მაღალი წოდების ქალი ვის შეირთავდა, ამა თუ იმ კნეინას ძაღლი რით იყო ავად და რომელი ბეითალი ექიმობდა, ამა თუ იმის ცოლს ვინა ჰყვარობდა—«კუჩერი», თუ «ლაქია», და თვითეულისაგან რამდენი ნაბიჭვარი ჰყავდა, ანუ რომელსამე მდიდრის «გვერდს» (ე. ი. ცოლს) რომელი დრაგუნი ეკურკურებოდა და სხვ-და-სხვ. ამას გარდა, თუმცა მელპომენის ტაძარს ბახუსის სამფლობელოს ამჯობინებდა, მაინც გაგონილი ჰქონდა შესანიშნავ მსახიობ და მომღერალთა გვარები (ყველას სურათებს აგროვებდა), რითაც ყველგან ყველასთან დიდად სარგებლობდა, კამათსაც კი დაიწყებდა ხოლმე ამა თუ იმ მსახიობის შესახებ: ამითი და ამითი სჯობიაო (ალბად ესეც ნიჭია!).

რაოდენიმე ხნის შემდეგ კინკიბაძემ თანამსახურ ამხანაგების მიხედულებით და უფროსი მოხელის თვალში ყურადღების დასასამსახურებლად რუსული ჟურნალი «როდინა» გამოიწერა, თუმც არა კითხულობდა, ისე, ნახატებს თუ გადაავლებდა ხოლმე თვალს, კითხვით თავს არ იცხელებდა, მით უმეტეს, რომ ერთხელ სამმართველოს მთავარ უფროსმა ყველას სასტიკად აუკრძალა წიგნების კითხვა. ჟურნალის დამატებებს ბუკინისტებში ჩალის ფასად ჰყიდდა, «მეტს ბარგს» თავიდან იშორებდა...

თუმცა კინკიბაძე წიგნების იდუმალ გამღვიძებელ ხმას ყურს უყრუებდა მაინც ცხოვრების ბობოქრობამ თავის ტალღებში შეითრია და ბევრი ისეთი რამ აჩვენა, რაიცა აქამდე მისთვის არ არსებობდა...

### VI

დიაღ, კინკიბაძემ შეამჩნია, რომ ზოგიერთი ადამიანი თავის თავის გარდა მოძმეთა საკეთილდღეოდაც მუშაობს, რითაც ქვეყნიურ უმაღლეს დიდებას იმკის და მოციქულობის სახელს იმსახურებს; ამიტომ თითონაც გადასწყვიტა, «ქვეყნის მუშაკთა ჯგუფში» ჩარიცხულიყო. საამისოდ შემდეგმა გარემოებამაც წაახალისა: რამდენჯერმე ნახა სხვა-და-სხვა მოღვაწეთა სურათები, კარგად გაითვალისწინა მათი წინწამწევი მიზეზები,—ზოგი მწერლობით შექმნილიყო სახელოვან კაცად, ზოგი ქველმოქმედებით, ზოგი სამშობლოსადმი გმირობით და სხვ. ამიტომ «გააკეთა» რამდენიმე ლექსი, მართლი რითმოვანი, ხოლო უჰანგო, და რედაქციაში წარადგინა, დამიბეჭდეთო. ყურადღება არ მიაქციეს, უკან დაუბრუნეს. კიდევ დასწერა და ბოლოს შეემუდარა: შემიბრალეთ, გამისწორეთ და ისე მაინც დამიბეჭდეთ, თორემ «ნიჭი» სამუდამოდ დამეხშობაო... უწყალო რედაქციამ არც ამას მიაქცია ყურადღება და თავის გაზეთის «ფოსტაში» კინკიბაძეს ურჩია: იკითხეთ და ისწავლეთო... მეტი რა გზა იყო, რომ კინკიბაძეს სამწერლო ასპარეზისთვის ზურგი არ შეექცია.

ხშირად სადმე ლხინში, რომელსამე ოჯახში, ესმოდა მწუხარე მოთხრობა თავისი დაჩაგრულ და ფეხქვეშ გაქელილ სამშობლოისა და დაბეჩავებულ ხალხის შესახებ და გული ეთუთქებოდა. დათუთქულს გულს კახური ღვინო, «მრავალჟამიერი», მამულიშვილური გრძნობით გაჟღენთილი სიმღერები უხურვებდა, და ««სამშობლოს სადიდებლად« ქუჩაზე ხან ერთს მეეტლეს მისცხებდა, ხან წესიერების მეთვალყურეს, ხან რომელსამე ბოძს მიეჯახებოდა... უსამართლობის ამოსაფხვრელად.

### VII

გამოფხიზლების შემდეგ კინკიბაძეს ყოველივე ავიწყდებოდა, ისევ ისე ნამდვილ კაკარდოსან, ულვაშებ გაბზეკილ კავალრად გარდიქნებოდა ხოლმე. მაგრამ ცხოვრება, ეს ყოვლისა და ყველაფრის გარდამქმნელი მანქანა, უკარნახებდა: «კინკიბაძევ, შენც სახელოვანი კაცი უნდა გახდეო,..» და ამ იდუმალს ხმას მიჰყვა: გახდა ნამდვილი ქართველი და რადგანაც, მისის აზრით, უცხოურ ტანისამოსში არ შეიძლებოდა ნამდვილი ქართველის მოთავსება, ამიტომ ჩერქეზული ტანისამოსი შეიკერა, მაგრამ ყოველთვის ვერ სარგებლობდა: უქმე დღეებში ხანდისხან თუ ჩაიცვამდა ხოლმე და ყოველს ღონისძიებით სცდილობდა, რომ ამ ტანისამოსში უფროსებს არ შეენიშნათ: ერთხელ რაღაცა ეშმაკად ჩერქეზულად გამოწყობილმა კინკიბაძემ თავისს უფროსს მოჰკრა თვალი და ისე შეთახთახდა, თითქო ზეცა თავზე დაექცაო. „ზამეჩანიას“ მომცემენ... გამომაგდებენ, გაიფიქრა კინკიბაძემ.—ძალიან დავაშავე რომ... რაღა ვქნა?.. დავიღუპე, დავიღუპე!“ ბორგავდა მთელი ღამე და მეორე დღეს სამართველოში ისე შეიპარა, რომ თვითონაც კი ვერაფერი შეუმჩნევია. მუშაობის დროს თვალი უფროსის კარებისაკენ ეჭირა, საცაა გამობრძანდება და «ვიგოვორს» მომცემსო.

მართლაც ამ დროს უფროსი გამოვიდა, რომელსაც ყველანი მოწიწებით მიესალმნენ; სალამის პასუხად უფროსმა ზოგს რა უთხრა, ზოგს რა, და ბოლოს კინკიბაძეს გადაავლო თვალი! კინკიბაძე გაქრა, გაიპარა.

—აა, ფორმაში ხართ?.. მომილოცავს... გუშინ ძლიერ გიხდებოდათ ეროვნული ტანისამოსი; ნამდვილი ლაქიური შეხედულება გქონდათ.

უთხრა ესა და შეტრიალდა.

კინკიბაძეს რო მიწა ჩანგრეოდა და ქვესკნელში ჩავარდნილიყო, ის ერჩივნა. «ესრა ღვთის რისხვა დამემართა?-გაიფიქრა კინკიბაძემ. ღმერთო რა გცოდე?!.. არა, არა, ცხოვრების წესი უნდა შევიცვალო, თორემ უფროსი გამიწყრება.» ბჭობდა თავისთვის კინკიბაძე ð ყოველგან, სამართველოს ყოველ კუთხეში, თავის არსებაში, შიგნით გარეთ, ერთის სიტყვით ყოველის მხრით უფროსის სახე ელანდებოდა. «მე ვირგლამ, რატო იმდენი ვერ მოვისაზრე, რომ ეროვნული ტანისამოსით სიარული ნებადართული არ არის... ჰია! ღმერთო, ღმერთო!».—გაიცა კინკიბაძემ და თვითონვე სასოწარკვეთილებით ხმამაღლა წამოიძახა: «ნება დართული არ არის და მე კი ვიცვამ, ნებადართული არ არის და მე ..“

ამ დღის შემდეგ ეროვნულიტანისამოსი სამუდამოთ გაიძრო, ერთი მეგობრისაგან ნაჩუქარი შოთა რუსთაველის სურათიც სამზარეულოში გაიტანა და კუთხეში მიაგდო, რომ უფროსთან არავის დაესმინა.

უსუფ უმუთ-ოღლი.

*) იხ. „ივერია“ № 93

## ჩვენებური ამბები.

—

ქ. გორი. კვირა დღე გახლდათ როგორც ყოველთვის, დღესაც ჰქროდა ქარიშხალი, იღებდა ქუჩებიდამ მეხლზედ დაყრილს მტვერს, ბუნჩოს, აყრიდა თავპირში მოსეირნე ხალხს და კოხტად დაკაზმულ ქალებს უმსებდა ღოლოს გორგალივით დახვეულ «კოსებს». «ბოჟე მოი», ისმოდა ხმა ერთი ადგილიდან, სადაც შეგროვილიყვნენ ქალები, გამხმარ სარივით პალტოში ჩაყუდებული კავალრით,

ლობით. ლექციების კითხვა მინდობილი აქვთ ნევშატელის აკადემიის მასწავლებლებს; ამ აკადემიაში იკრიბებიან საერო მასწავლებელნი, რომელთაც სურთ შეავსონ თვისი განათლება. სპეციალური კურსები შესდგება შემდეგი საგნებიდგან:

1) ბოტანიკა—შენობა და ცხოვრება მცენარეებისა; ვარჯიშობანი მცენარეების განსაზღვრაში; მიკროსკოპიული ვარჯიშობანი; ბოტანიკური ექსკურსიები.

2) ზოოლოგია.—ახალი წესები ბუნებითი მეცნიერების ბუნებაში; გამოცნობა ცხოველთა სამეფოს ტიპებისა; დათვალიერება საბუნების-მეტყველო მუზეუმისა.

3) ფიზიკა—ელექტრონობა; სინათლე და ელექტრონობა; მოწყობა ელექტრონებისა

4) ქიმია—სპეციალური და ფიზიკური ქიმიის წარმატებანი უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში.

5) ფრანგული ენა—დასაბამითი კანონები ფრანგული გრამატიკისა; ზეპირი ვარჯიშობანი.

საზოგადო კურსების საგნებს შეადგენს:

1) გეოლოგია—გეოლოგიის პრინციპები, შეერთებული ექსკურსიებთან.

2) გეოგრაფია—გეოგრაფია და წესები ამ საგნის სწავლებისა; კითხვები ეკონომიურ და პოლიტიკურ გეოგრაფიიდგან; დათვალიერება ეტნოგრაფიული მუზეუმისა.

3) პედაგოგია—პედაგოგიური სწავლა და მისი არსებითი პრინციპები.

4) ლიტერატურა—ოთხი საუბარი თანადროის ლიტერატურულ მიმართულებაზედ.

5) ხელოვნება—სამი საუბარი მხატვრობაზედ ხელოვნების მუზეუმში.

მმართველობა კურსებისა მინდობილი აქვს დეპარტამენტის მიერ სპეციალურ კამისიას, რომელიც შესდგება რამოდენიმე პირთაგან.

## II
## ასოციაცია ურთი-ერთ დახმარებისა საფრანგეთში.

—

სამოსწავლო პერსონალი პირველ დაწყებით სკოლათა საფრანგეთში განსაკუთრებით მონდომებულია გაავრცელოს ურთიერთ დახმარება მასწავლებელთა. თვითეულ დეპარტამენტში არსდება საზოგადოებანი ურთიერთ დახმარებისა და შემნახველ გამსესხებელი კასები. პარიჟში და სხვა ქალაქებშიც არსდება სამასწავლებლო ასოციაციები, რათა აღმოუჩინონ ნივთიერი დახმარება გარდაცვალებულ წევრთა ოჯახებს. ამ დაწესებულებათა ორგანიზაცია შესდგება იმაში, რომ თვითეული წევრი ვალდებულია შეიტანოს 5 დგან—15 ფრანკამდე გარდაცვალებულის ქვრივ-ობოლთა სასარგებლოდ. ზოგიერთი მასწავლებელთა კორპორაციები ზრუნავენ უმეტესად მასწავლებელთა ობლებზედ, რომელთაც ისინი ჩამოარიგებენ იმ პირთა ოჯახებში, სადაც ისურვებენ მათ აღზრდას დაწესებული ქირით. —პარიჟში და ტულუზაში არსებობს სამი საზოგადოება, რომლებიც ვალდებულია დაიცვან მასწავლებელნი ყოველივე სადა-საქმიდგან მოსწავლეთა მშობლების მხრით.

არსდება აგრეთვე საზოგადოება წინაღმდეგ მასწავლებელთა დიფამაციისა. აზრი ამ უკანასკნელი საზოგადოებისა ისაა რომ აღძრან სამოსამართლო პროცესი ამ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებზედ, რომლებიც ავრცელებენ ცილის წამებას პირველ დაწყებით სკოლათა მასწავლებლებზედ. ერთს საფრანგეთის დეპარტამენტში არსდება საზოგადოება მასწავლებელთა, სახელად: «კაპეიკი ობოლთა», რადგანაც საწევრო ფული ასოციაციისა არ აღემატება თვეში ერთ კაპეიკს. საზოგადოების მიზანია, აღმოუჩინოს ფულით შემწეობა გარდაცვალებულ წევრთა ობლებს. წესდების ძალით ობლებს 16 წლამდე ეძლევათ საზოგადოების საშუალების და გვარად შემწეობა.

ვლადიმ ბზვანელი.

## ნარკვევი

—

«დუხ. ვესტ. გრუზ. ეგზარხ.-ში დაბეჭდილია პატარა შენიშვნა საეპარქიო მისიონერის ა. პლატონოვისა, რომ ამიერ-კავკასიაში, სახელდობრ შემახის მაზრაში, გაჩენილან მწვალებელნი, მორმონის მოძღვრების მიმდევარნი. ეს მოძღვრება საშიში მოძღვრებაა, წინააღმდეგია არამც თუ ეკლესიისა, არამედ სახელმწიფოსიცაო. გაუვრცელებიათ იგი ამერიკელებს, რომელთაც დააქვთ ჩვენში გასაყიდი იარაღი მეურნეობისა. ამას ამბობს მისიონერი პლატონოვი, თან ავიწყდება, რომ რუსეთში თითქმის 16 მილიონზე მეტია სხვა-და-სხვა მწვალებელთა რიცხვი: სტაროობრიადცები, მალაკნები, შტუნდისტები, პრიგუნები და სხვანი მრავალნი, და დასძენს ღაღადებით: «უბედურო ამიერ-კავკასიავ! უბედურო განაპირა ქვეყანასაო»!

ნეტავ გამაგებინა, რა უბედურება უნდა იყოს ამიერ-კავკასიისათვის, რომ რამდენიმე კომლი შემახის მაზრის სადღაც სოფ. ჩიხირ-იურტაში მორმონობას გაუტაცნია.!

ეს არის საკითხავი, თუ-კი ამერიკელები ახერხებენ თავიანთ მოძღვრების გავრცელებას, ჩვენს მისიონერებს რაღა დაემართათ, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანობა და მართლ-მადიდებლობა ვერ დაუმტკიცებიათ ამიერ-კავკასიაში?! ამიერ-კავკასიის ავად ხსენებას და წყევლა კრულვას, ვეჭვთ, ის აჯობებდა, რომ მართლ-მადიდებლობის მისიონერს თავისი სამისიონერო საქმისათვის დაედო გული და მისთვის ელვაწნა თავ-გადადებით

საერო-განათლების მინისტრად ახლად დანიშნულ გენ.-ლეიტ. გლაზოვს მიუღია მოხელენი თვისის უწყებისა. გასცნობია ყველას და უთქვამს სხვათაშორის შემდეგი:

„ბატონებო, თქვენ უკვე იცით, რომ ჩემმა სამსახურმა განვლო სრულიად სხვა სფეროში და ეს გარემოება, ცხადია, დაებადება თქვენს შორის სურვილს გაიგოთ, თუ რა აზრის ვარ მე იმ ერთობის მუშაობაზედ, რომელიც მოგვეღის მომავალში, მოვეხსენებით, რომ ვინც რა საქმეს ადგია, ეს საქმე თავის დღემას ასვამს ფიქრსა და აზრზედ, მის მსჯელობას და კაცთა-შორისა დამოკიდებულობას ხასიათზედ. ჩვენ, სამხედრო კაცნი, ჩვეულნი ვართ, ისეთ კაცებთან გვქონდეს საქმე, რომელნიც აღზრდილნი არიან მეფისა და სამშობლოს განუსაზღვრელის სიყვარულის გრძნობით და დისციპლინისა და წესიერების შეურყეველის დაცვით. ერთ-ერთი მუხლი სამხედრო წესდებისა ამბობს, რომ მთავრობის კაცნი მამობრივ უნდა ჰზრუნავდნენ კანონის საზღვართა შორის თავისთა ხელ-ქვეითთა კეთილდღეობისათვისაო. ეს უნდა იყოს დამახასიათებელი ყოველის ურთიერთობისა. ეს ურთიერთობა უნდა იყოს პირდაპირი, გადაუხვეველ-გადმოუხვეველი და იმ წესზედ დამყარებული, რომ გამგეობა, მმართველობის ორგანონი შექმნილია კაცთათვის და არა კაცნი მათთვის, ამ ქვეყნიერების არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ჩვენი საერთო მოქმედება. ამიტომ დარწმუნებული ვარ, თქვენ, ბატონებო, როგორც ცოდნით და გამოცდილებით აღჭურვილნი, დაბრძნებულნი და საქმეში ღრმად ჩახედულნი, მხნე თანაშემწეობას გამიწევთ და ისეთნი თანაშემწენი შეიქნებით, რომელნიც სულით და გულით არიან გატაცებულნი ჩვენის სამშობლოს არა-ადგილ, პასუხ-საგებელ, გარნა წმინდა საქმეს გონებრივისა და ზნეობრივის წარმატებისაო“.

## შემოწირულებანი

—

კნეინა სოფიო ვასილის ასულმა ამირაჯიბისამ შემოსწირა «წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოება» ბაზრის სასარგებლოდ 14 ნაჭერი ერთი ერთმანეთზე უკეთესის ნივთისა, ღირებული 50 მ.

—

ტფილისის ხელოსანთა ამხანაგობამ — სკამი და პირსახოცის დასაკიდი.

კნეინა ნინო სვიმონის ასულის ჯამბაკურ-ორბელიანის თაოსნობით შეკრებილ იქმნა:

ბ-ნ ცატუროვისაგან ერთი წყვილი შანდალი, ღამის პატარა ლამფა, ვაზა, ფარფორის ფარანი და სადარბაზო ბარათების სტოლის თეფში.

როტინოვის მაღაზიისაგან ორი «კრუჟევოს» პატარა წამოსასხმელი და ათი არშინი ჩითი.

ბ-ნმა რალემ ათი ყუთი ხელის საპონი.

ბანკის შენობის შვაპჩიკმა «დუხი და პუდრა»

გრიგუარმა აბრეშუმის ყელ-სახვევი «პუდრა». სავარცხლები და «დუხის» შესაფრქვევი.

ამირაღოვმა ორი ნაჭერი ჩითი.

ბოჟარძიანცმა ერთი ყუთი პაპიროსი

ხარაზოვმა ქუდები და სამი წყვილი ბავშვის ჩუსტები.

ცეიტლინმა საათი—«ბუდილნიკი».

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

22 აპრილი.

**ვლადივოსტოკი**. გენერალმა ლინევიჩმა ვლადივოსტოკში დაათვალიერა ჯარი და სიმაგრეები, კმაყოფილი დარჩა და ჯარს მადლობა გადაუხადა.

**ბერლინი**. როგორც ბერლინიდან იუწყებიან, რუსებს რკინის გზა გაჰყავთ ტიანშუიჯანამდე. 30 კილომეტრი უკვე მზად არის.

**ხარკოვი**. ბრძოლის ველზედ წასული სკრიდლოვი არქიეპისკოპოსმა აკურთხა ყაზანის ღვთის მშობლის ხატით. ქალაქის მოურავმა მიართვა პურ-მარილი. შეწირულებათა შემკრებმა კომიტეტმა ადმირალს გადასცა შვიდი ათასი მანეთი მეზღვაურთათვის დასარიგებლად, როდესაც მატარებელი ტულისკენ წავიდა, ერთ „ურა“ გაისმა. ხალხმა საერო ჰიმნი შეასრულა.

**პორტ-არტური**. 22 აპრილი. დილის 10 საათი და 10 წუთი (საკუთარის კორესპონდენტისაგან) 22 აპრილს დილიდან მტრის ესკადრა ლიაოტეშანს იქითა სდგას. ბიძივოში მივიდნენ ტრანსპორტები იაპონიის ჯარით, რომელიც ნაპირზე უნდა გადასხან.

დილის 11 საათზე ადმირალი ალექსეევი, უმაღლესის ბრძანებით, მომქმედ ჯარში წავიდა, თავისი შტაბი თან ახლავს. დროებით ესკადრის უფროსობა დაევალა ადმირალს ვიტგეფტს, ხოლო ფლაგ-კაპიტნობა—მეორე რანგის კაპიტანს ესენს.

პორტ-არტურში სიწყნარეა. დიდი მთავარი ბორის ვლადიმირის ძეც წავიდა პორტ არტურიდან.

**ლონდონი**. იაპონიის სესხის, 10 მილიონ გირვანქა სტერლინგის, გამოცემის საქმე მოეწყო. ამბობენ, 7 მილიონს გამოსცემენ ლონდონში და 3 მილიონს ნიუიორკშიო. სესხი 6 პროცენტიანია და გარდახდილ უნდა იქნას 7 წლის განმავლობაში. გამოცემულ სესხის კურსი $93^1/_2$ უნდა იქნეს. სესხს უზრუნველჰყოფს იაპონიის საბაჟოების შემოსავალი. ამბობენ, ფული ინგლისში დარჩება იაპონიის ზოგიერთ სავალდებულო გადასახადების გასასტუმრებლადაო. საზღვარ-გარედ ირწმუნებიან, მეორე სესხის საქმე ომის გათავებამდის ვერ მოეწყობაო.

**ვიქტორია**. ბრიტანიის კოლუმბის ორთქლმავალი გემი „ექსპრესს ოფ ჩაინა“ გავიდა აქედან ზღვაში ფქვილით და 500 ფუთ ხორცის კონსერვით დატვირთული, რომელიც იოკოჰამაში მიაქვს იაპონელებისთვის.

**ირკუტსკი**. ყინულის მტეხელმა «ბაიკალმა» გზა გასჭრა ყინულში და მივიდა ტანხოის.

**მოსკოვი**. ერობათა სასანიტარო-სასურსათო რაზმების უფროსები დეპეშით იუწყებიან, რომ საჭიროა კონსერვები, ფქვილი, ფეხსაცმელი, ფუფაიკები და ბარაკები. სამხედრო საეკონომო საზოგადოებას მანჯურიის არმიის სამხედრო შტაბის უფროსისაგან წინადადება მოუვიდა სურსათის საწყობების გამართვის შესახებ. ამ დღეებში სამი წარმომადგენელი ხარბინს მიდის, სადაც საზოგადოების უმთავრესი საწყობი მაისის შუა რიცხვებში გაიხსნება. მოსკოვიდან გაჰგზავნიან იქ რამდენსამე ვაგონს საქონელს

**ტოკიო**. მეორე არმიის მობილზაცია ჯერ-ჯერობით არ დასრულებულა. ამავე დროს კი ამზადებენ გემებს მეორე არმიის მეხუთე დივიზიის გადასაყვანად; მათი დანიშნულება არ იციან, არმიის უმთავრესი გამგეობა და მთავარი შტაბი ჯერჯერობით ისევ ტოკიოში არიან. 42 უცხოელ აფიცრის მესამედი უკვე სეულში წავიდა.

**რეველი**. იტყობინებიან, რომ «ჩრდილო-გერმანულ ლოიდ»-ს არ მიუყიდნია 8 გემი იაპონიის მთავრობისათვის; მიუყიდნია მხოლოდ 3 გემი იაპონელთაგან შემდგარ კერძო ამხანაგობისათვისაო.

**ტოკიო**. 22 აპრილს, ღამე, სატრანსპორტო გემი, რომლითაც უცხოელი სამხედრო აგენტები იაპონელების ჯარში

---

რა მოუჩმახამს რებუს, რა ნაირ გაულანძღავს გორი».

მეც ამ ხმაურობამ ძალა უნებურად გამიტაცა; ავიკრიფე თული ოსივით ფეხი და მიუახლოვდი კრებას; მოვკარ თვალი, ხელში ეჭირათ «ივერია» და ებრძოდნენ გიჟმაჟ ლიახვის ქარს, რომელიც წართმევას სცდილობდა. «ზაოჩნად» კარგად ლანძღეს ჩვენი რებუსი და დაარქვეს ქორის გუდა. ეჰ! რებუს, მინდოდა ჩემ მოკლე პიჯაკის კალთის ქვეშ დამეფარე. მაგრამ მახლას! ვერა გავაწყერა. ერთმა მკითხველმა მორთო ქუჩაში ლაპარაკი: არა, ქორი დაუწერია; მე ბ. რებუსი სერგოს «კორეტაში» რო ჩავსვი, მაშინვე ჩაეძინა, ალბათ ამირაანთ ქალაზედ რო გაიარა, უჯმაჯური დაეცა და რაც დაუწერია, სულ სიზმრად უნახავს, რო ზარფუშში ცხელი არა ჰქონოდა, გორის ახალ ბაღს ასწერდა, რომელსაც ქვიან: «ანჯელოს ბაღი» (ანჯელო გორის გალავაა) რებუსი ცხინვალიდან გორს ვერ იღებს ნიშანში შურდულით: არტყამს ალაღსა და მართალსა. შენ ხელი უშვი და ვეცადავ ისკანდერ-ოღლი პაპუკეს მზეს, რომ ჩვენს წმინდა «შურდულს» თითქმის ყოველ კვირა შევატყობინებ გორის სიავსიკეთესა.

სკმელა წვერო.

—

**ს. წუნარი**. (ქართლი). ჩვენმა ახლად ამორჩეულმა მამასახლისმა შ. ქ—ვილმა ქალამნის ჯღანები დაიხადა, სანაცვლოდ მაღალ ქუსლიან „აპოიკის“ ჩექმები ჩაიცვა, ნაბდის ჩაჩი გადააგდო, კალმუხის ქუდი დაიხურა. თოხარიკა არ იკადრა, თეთრი რაში იყიდა. ერთი სიტყვით სულ გამოიცვალა. ასე გასინჯეთ, ჰკუეც კი: აქამდე თუ გლეხობა ებრალებოდა, ახლა ყველას კუდამდე ტყავები დააძრო.

ამ ათ წელში მუდამ ოსები იყვნენ მამასახლისად. წელს ქართველებმა იძალავეს და ქართველი ამოირჩიეს, უფრო შეღავათი გვექნება ყველაფერშიო, მაგრამ... დღეს ყველა ცხვირში იცემს: ისევ ოსი სჯობდა ამ ჯოჯოხეთის მუგუზლის დაყენებასაო, მაგრამ რას იზავთ, ბედშავნო გლეხნო! თქვენ რო ერთი პირი გქონდეთ და შეიგნებდეთ აწმყო აზვირთებულ ცხოვრების ტალღებთან ბრძოლას და ერთი ერთმანერთის მტრობაში სული არ ამოგდიოდეთ, თქვენს ბედს «შამფურაანთ» ძაღლიც არ დაჰყეფავდა. მაგრამ...

რებუსი.

—

## დ ა მ ა კ ვ ი რ დ ი.

—

რჩევას თუმცა ერთი იტყვის,
გადამწყეტი არის კრება,
ალაგზე სიტყვის წარმოთქმას
უნდა დიდი დაკვირვება.

—

წყალი როცა რომ ქურქელში
ნამეტნავად ადუღდება,
ნახევრათაც რომა იყოს
თავზედა გადმოსდინდება.

—

ცხვარი ვერ შესძლებს მგელთან
ცხოვრებას,
კურდღელი ძაღლთან, ჩიტი ქორთანო,
ისევ სჯობია, ერთად იცხოვრონ,
ვინც უნდა იყოს—ტოლმა ტოლთანო.

არ არს მკვდარი, რომელსაც
სტირის მთელი კრებული,
მკვდრად მიცვნია, ვინც ცოცხლად
არის დავიწყებული.

—

მე ბევრად მიჯობს ჩემს ენას ვინმე
მოსჭრიდეს და შორს გადააგდებდეს,
ვიდრე მართლისთვის ტყვილა უბრალოდ
პირში ლაგამსა ამომიდებდეს.

გ. დვანკითელი.

—

## ნარევ-ნაკვეს-გასართობი

მეგობარს.

—

მინდა, მაგრამ ვერ ვახერხებ,
რომ ვიმღერო ტკბილის ხმითა.
ვისაც ვსძულვარ, მიეეფერო,
ვემსახურო გულდასმითა.

ჩემი მცნება სულ სხვა არის...
ის არა ჰგავს ჩემი ძმისას.
ჩემი ძმა-კი აეშაგობს,
და ფარფაშობს ჩვენი მტრისას.

მინდა, მაგრამ ვერ ვახერხებ,
რომ ვიმღერო ტკბილის ხმითა.
ქვეყნის მტერს რომ მივეფერო,
ვემსახურო გულდასმითა.

დეე, მოვკვდე ულუკმ-პუროდ...
კუბოს ფასიც ნუ მექნება.
თუ-კი ჩემი სიცოცხლეში
სანუგეშო მომესწრება!

მინდა, მაგრამ ვერ ვახერხებ,
რომ ვიმღერო ტკბილის ხმითა.
უერთგულო უსამართლოს,
ვემსახურო გულდასმითა.

«რაღა გინდა, რას დაეძებ?»
იქნებ მკითხო, მეგობარო!“
—კაცს დავეძებ და სამართალს,
რომ უშიშრად გავიარო.

მინდა, მაგრამ ვერ ვახერხებ,
რომ ვიმღერო ტკბილის ხმითა.
დაველრიჯო უნამუსოს,
ვემსახურო გულდასმითა.

კორტოხა.

—

ყურმოკრული საუბარი.

ერთ სახალხო მგოსანს, სართულების დამხურავს (კროველჩიკს), უსაყვედურეს:

— განა ცოტა მოლექსეები გვყავს, რომ შენც ლექსების წერა არ დაგეწყოო?

— მა რა გავაკეთო?

— რა, და იმუშავე. შენ ხომ კაი ხელოსანი ხარ: «კრიშები» დახურე...

— კაცო და, მერე სად ვიმუშავო ან რაღა გავაკეთო, როდესაც ყველ ქალს ოჯახი და კერა ფეხქვეშ გაუქელია და სახლის «კრიშა» ერდობანიანად თავის თავზე დააქვს, მე ვისთვის რაღა საჭირო ვარ?!.

## დ ე პ ე შ ა.

(„შურდულის“ დეპეშათა სააგენტოსაგან).

—

**ავნევი** (გორის მაზრა). კლიაუზნიკოვმა მართალაძეს ომი გამოუცხადა.

**არკნეთი** (იგივე მაზრა). ამბობენ ყორნისის სკოლას იერიში მიუტანია არკნეთის სკოლაზე, რომელიც ძალიან დაუზიანებია. არკნეთლები დიდძალს ფულს ხარჯამენ იმის შესაკეთებლად, მაგრამ .. ამბობენ, უნდა დაჰკეტონო,

**ქუთაისი**. (საკუთარის კორესპოდენტისაგან). თუმცა იარაღს აღარ ვატარებთ, მაგრამ იმდენი ლორი ჰყრია ქუთაისის ქუჩებში, რომ საჭირო აღარ არის იარაღის ტარება: ჩხუბის დროს ქვასაც კარგად მოვიხმართ.

**იქიდამვე**. მადლობა ღმერთსა! ცირკი გვეწვია; თუმცა პერვილისა არაა, მაგრამ ესეც კარგად გვკრეჭავს. ამას სწუხან ჩვენნი ბანოვანნი—„დუშკები“ ცოტა ჰყავს ახალ ცირკსაო. იქნება ტფილისმა გვასესხოს.

—

## «შურდულის» ფოსტა.

—

ქ. ოზურგეთი. ბ. კორიანტელს. არ დაიბეჭდება, ერთიც ცხარეა; არცა ღირს მაგოდენა კორიანტელის აყენება; რუსული ანდაზა ამბობს: «კუზიანს საფლავი გაასწორებსო».

ქ. ტფილისი. ან. გ—კარელს. არ დაიბეჭდება. ლექსს არა უშავსრა, მაგრამ აზრი როგორღაც ვერ აზრობს. გულს ნუ გაიტეხთ.

ქ. ტფილისი. ბ. უსუფ-უმუთოღლის. ლექსი—„ბრიყვი არის და უზდელი» არ დაიბეჭდება. ბრიყვი და უზდელი თვით წაიმტვრევს კისერსა... ღმერთი მოწყალეა! ...გულს ნუ გაიტეხ, გქონდეს იმედი კეთილი ჩომაულისა.

—

**შეცდომის გასწორება**. გასული კვირის „შურდულ“-ში მოთავსებულ რომანში «ვახ-ვაახ!» შემდეგი შეცდომებია:

3 სვეტში. მეცხრე სტრიქონში დაბეჭდილია: შეუსრულდებოდა უნდა იყოს: შეერყოლდებოდა. იქვე მე-12 სტრიქონში სიტყვებს: «უდიდესნი ცოდვილნი მაინც ქვეყნის ზედაპირზე დაპარპაშებდნენ,» უნდა მიემატოს:» მათ ნაცვლად მსოფლიოს უფსკრულში მაშვრალ-დევნულნი ინთქმებოდნენ» და სხ. მეხუთე სვეტში, მეექვსე სტრიქონში დაბეჭდილია «500 მან. ყალბი მანათი მისცა». უნდა იყოს: „500 მანეთის ყალბი ბარათი მისცა“ და სხ.—.

მეექვსე სვეტში, მეხუთე სტრიქონში დაბეჭდილია: «ქუჩაზე ვაჭრობდა... ამას, უნდა მიემატოს: ქუჩაში ვაჭრობდა თავის სხეულით. ამას და სხ.»

არის აგრეთვე ასოთა შეცდომანი.

რედაქტორ-გამომცემელი ია ეკაძე.

მიდიოდნენ, სიმონოსეკის ახლო კლდეს დაეჯახა და დაზიანდა, უცხოელ აგენტებს სხვა გემი წაიყვანს დანიშნულს ადგილას.

გენერალ კუროკი იტყობინება, რომ ბრძოლის ველის ბეჯითად დათვალიერების შემდეგ კვირას აღმოჩნდა კიდევ 200 მოკლული და დაჭრილი იმათ გარდა, რომელთა შესახებ წინად იყო გამოგზავნილი ცნობაო. კუროკი ჰფიქრობს, რომ ბრძოლის ველის დათვალიერების დამთავრების შემდეგ კიდევ აღმოჩნდებიან მოკლულნი და დაჭრილნი. კუროკი დასძენს, რომ დატყვევებული რუსთა შორის აღმოჩნდა რუსის სამხედრო ექიმი, რომელსაც წინადიდება მიეცა, იაპონელ ექიმთან ერთად მოუაროს დაჭრილ რუსთ და იაპონელთ. ექიმმა თანხმობა გამოაცხადა.

**ჩიფუ.** ჩინელი მენავეები იტყობინებიან, რომ იაპონიის სამხედრო ფლოტი, 40 სამხედრო და სატრანსპორტო გემებისაგან შემდგარი, სამშაბათს ვეიჰაივეის პირდაპირ გამოჩნდა; ფლოტი ჩრდილო-ეთ-დასავლეთისაკენ მიდიოდაო.

**სოფია.** (ოპოზიციის წრეებიდან). ჯერ არ დასრულებულა საბერძნეთ-ოსმალეთის მოლაპარაკება სმირნის ინციდენტის გამო. საბერძნეთის ელჩი თხოულობს, დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქნას პოლიციის კომისარი, ამას გარდა ვალი საბერძნეთის საელჩოში უნდა მივიდეს სავიზიტოდ. პორტამ გადასწყვიტა, გაჰგზავნოს რამდენიმე იურისტი საქმის ადგილობრივ გამოსაძიებლად.

რუმინინის მთავრობის მეცადინეობა მსოფლიო პატრიარქის წინაშე იმის შესახებ, რომ მაკედონია ცალკე სასულიერო საზოგადოებად იქნას ცნობილი, უნაყოფოდ რჩება, ოსმალეთის მოხელენი სჩივიან, რომ, ბოლგარიის მოხელეთა სიფხიზლის მიუხედავად, ზოგიერთმა მეამბოხე რაზმებმა მოახერხეს საზღვარს გადასვლა და მოქმდების განახლებაო. მაკედონიიდან მიღებულ ცნობებით, მცხოვრებნი ჯიორჯისისა და იმის თანაშემწეთა მოგზაურობის შემდეგ დამშვიდნენ.

**ბერლინი.** სენატმა დაადგინა, გადაიდოს 28 მილიონი ზარბაზნების სასყიდად.

**ტამბოვი.** ტამბოვის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე იმ ყაჩაღებისა, რომელთაც მოჰკლეს ბორისოგლებსკში დარაჯი, გაძარცვეს ეკლესია და ყელი გამოსჭრეს სამ კაცს. ყაჩაღებს კატორგაში გაგზავნა მიესაჯათ.

**სტამბოლი.** ხონთქრის ირადეთი ებძანა ფინანსთა მინისტრს შეუთანახმდნენ ბანკს, რათა ფანანსების მხრით მოეწყოს მაკედონიის ჟანდარმერიის შესახებ. ირადეს შინაარსს დღემდის პირადად ატყობინებენ ელჩებს, ახლა კი ისინი მოწერილობას ითხოვენ.

**პარიჟი.** ლუბე იუწყება, რომ იტალიაში მოგზაურობა კეთილად დაგვირგვინდაო. მეფე, მთავრობა და ხალხი თანაგრძნობით დაუხვდნენ.

23 აპრილს.

**პეტერბურგი.** 22 აპრილს შორეულ-აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობა არ მოსულა.

**შანჰაი-გუანი** (რეიტერის სააგ.). ჩინელების გაზეთებში გამოცხადებულ ცნობამ, ვითომ რუსები შანჰაი-გუანში ჯარის გაგზავნას აპირობენო, დიდი აღშფოთება გამოიწვია. ჩინელები მეციხოვნე ჯარებს აძლიერებენ.

**სოფია.** (ოპოზიციის წრებიდან). რუსების დაჭრილ ჯარის კაცების სასარგებლოდ სლავიანთა ქველმოქმედმა საზოგადოებამ შეაგროვა 40 ათასი ფრანკი. ქალთა კომიტეტმა შეაგროვა 70 ათასი ფრანკი; წითელი ჯვრის საზოგადოებამ—10 ათასი ფრანკი.

**ბერლინი.** ნიუ-ჩუანიდან ლონდონის წყაროებით იუწყებიან, რომ ხუთშაბათს იაპონიის ესკადრა და 50 სატრანსპორტო გემი კინჩოუში გამოჩნდა. აქ ყოველ დღე თავდასხმას ელიან. რაც შეეხება ჯარის განაწილებას, გარდა პორტ-არტურისა, სადაც 16 ათასი კაცი დგას, და დალნისა, სადაც 6 ათასი კაცი დგას, მუკდენის სამხრეთით იმყოფება სულ 120 ათასი კაცი, ამათგან ფინხუანჩენში დგას 12 ათასი ქვეითა ჯარის-კაცი, 8 ათასი ყაზახი და 6 ბატარეია. რკინის გზის სადგურ დაშიციაოსთან დგას 20 ათასი, ხაიჩენში—5 ათასი და მუკდენსა და ლიაოდუნს შუა 70 ათასი.

**სოფია.** 23 აპრილს. (ოპოზიციის წრეებიდან). სტამბოლიდან იუწყებიან: პორტამ შეატყობინა ელჩებს ბიუჯეთი ევროპის ჟანდარმერიისათვის მაკედონიაში, რომელიც შეადგენს 250 ათას ოსმალურ ლირას. ეს ფული უზრუნველყოფილია ოტომანის ბანკისაგან. ყველაზე ძნელ საკითხის გადაწყვეტას, ესე იგი—გადახვეწილთა სამშობლოში დაბრუნებას, აბრკოლებს ოსმალეთი, რომელსაც ჯერ განსაკუთრებული კომისიის წევრები არ დაუნიშნავს და თავის სამშობლოში უსახლკაროდ დარჩენილთათვის სადგომები არ დაუმზადებია.

**ბუდაპეშტი.** დღეს გარდაიცვალა მწერალი მავრ იოკაი.

**ათინა.** სმირნაში მომხდარ ამბის შესახებ მორიგდნენ. გენერალ გუბერნატორის თანაშემწემ საბერძნეთის ელჩი ინახულა და ოსმალეთის მთავრობის სახელით სინანული გამოუცხადა. საბერძნეთის ელჩი ანტონოპულო ცეტინიეში გადაიყვანეს.

**ლონდონი.** (რეიტერის სააგ.). „ტაიმს“ ბიანცზედან ატყობინებენ: ჰოლკოვნიკმა იონგჰესმანდმა მიიღო დეპეშა ჩინეთის ამბანისაგან, რომელიც აცნობებს, რომ დალაილამა ამბობს, სურსათის და სამხედრო მასალის გადატანაში არ დაგეხმარებით და არც ჩემ წარმომადგენელს გამოგიგზავნითო.

**პეტერბურგი.** გენერალ-მაიორის ფლუგის დეპეშა სამხედრო მინისტრის სახელზე 23 აპრილის თარიღით: როგორც ამბავი მოვიდა, 21 აპრილს საღამოზე ბიცზივოს პირ-და-პირ გამოჩნდა ჯერ 7, შემდეგ 40 სატრანსპორტო გემი მტრისა. დილით 22 აპრილს დაიწყეს იაპონელებმა ჯარის გადასხმა ბიცზოვოსთან და ნაპირზე ტემონალის კონცხის ახლო, ჯარს იფარამდა არტილერია-ყუმბარების სროლითა. ჩვენებმა ზღვის ნაპირიდან დაიწიეს. ბიცზოვის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის საბუთები გამოიტანეს. რუსის მცხოვრებთ ქალაქი დასტოვეს. როგორც ჩინელები ამბობენ, იაპონელების ჯარები ჩინეთის იმ სოფლებში დაბანაკდნენ, სადაც ჯარები გადადიან. მტერმა ორი რაზმი ერთ პოლკამდე გამოგზავნა, ერთი დასავლეთისაკენ, ხოლო მეორე სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ამ დღეს სახალხო მატარებელს, რომელიც პორტ-არტურიდან მოდიოდა, ორს ვერსზე ვაფანდიანიდან, მტრის ქვეითა ჯარმა, ასე ასმა კაცმა, სროლა დაუწყო. ამ ჯარს რკინის გზის აღმოსავლეთით სიმაღლეები უჭირავს. მატარებელში ბევრი პასაჟირები ისხდნენ, ორასამდე ავადმყოფნიც იყვნენ სასანიტარო ვაგონში, რომელზედაც წითელი ჯვრის ბაირაღი იყო ამართული; ორი ავადმყოფია დაჭრილია ფეხში. მატარებელმა გაიჩქარა და უვნებლად ჩავიდა ვაფაიანდს. ზღვისპირის ოლქსა და ინკოუს საწყნარეა.

24 აპრილი.

**ტოკიო.** ოფიციალურად გამოცხადდა, რომ იაპონელებმა დაიწყეს ლიაოდუნის ნახევარკუნძულზე ჯარების გადასხმა.

**ლონდონი.** საფუძველია ვიფიქროთ, იაპონელთ განძრახვა აქვთ, მეორე ლაშქარი ნიუ-ჩუანში გადასხან.

**ვლადივოსტოკი.** ადგილობრივი გაზეთები, რაკი ამურზე გემთა მიმოსვლა დაიწყო, ურჩევენ ხალხს წავიდნენ ვლადივოსტოკიდან.

**ჩიფუ.** იაპონელებმა ლიაოდუანის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაპირას დაიწყეს ჯარების გადასხმა, ელიოტის კუნძულის პირდაპირ. ზღვის დაზვერვამ აღმოაჩინა, რომ აპრილის დამლევიდან აღმოსავლეთის ნაპირს, დალუშანიდან დაყოლებული სამხრეთ საკენ, იცავს კავალერის სუსტი რაზმებიო.

**ბერლინი.** როგორც პარიჟიდან იტყობინებიან, იაპონელებს ლიაოდუანის ნახევარ კუნძულზე ერთი დივიზია გადაუსხამთ. ეს ჯარი მესამე ლაშქრის ნაწილია.

**ლონდონი.** როგორც ტოკიოდამ იტყობინებიან, იაპონიის პირველი ლაშქარი ავანგარდი ინფხუანჩენიდან 40 კილომეტრამდე მისულა—იაპონიის ჯარები კვლავ გადადიან ანდუანს და დადუნგოუსა.

**არიოლი.** გამოიარა ვიცე ადმირალმა სკრიდლოვმა.

**ორენბურგი.** ორენბურგის ყაზახის ჯართა დღესასწაული იყო, 20 ათასი კაცი შეიყარა; ის ფული, რომელსაც სტუმრებსა და წვეულებაზე ხარჯავდნენ, გადასდეს ფლოტის გასაძლიერებლად.

**ტოკიო.** მიიღეს ადმირალ ხოსოთას დეპეშა, „მეშვიდე დივიზია 20 ნავმოსნით მოვიდა გემებით «ხონკსიჩმანითა» და «ნიპპომარუთი» ბიცზოვოს 22 აპრილს. მეზღვაურთ ბრძანება მიიღეს ნაპირს გადასვლისა, რადგანაც ტალღათა მოძრაობის გამო ნავებით ნაპირს ვერ მიუდგნენ, მეზღვაურნი წყალში ჩახტნენ, მკერდით არღვევდნენ წყალს, გაიარეს ასე 100 მეტრი და შევიდს საათზე ნაპირს გადავიდნენ. მაშინვე დაიჭირეს სიმაღლენი და ააფრიალეს იაპონიის ბაირაღი. 8 საათზე დაიწყო გადასხმა ჯარისა“.

**პეკინი.** გარეშე სახელმწიფოთა ელჩებმა ერთხმად გადასწყვიტეს, ჩინეთის სახელმწიფოს ყურადღება მიაქციონ იმ გარემოებას, რომ საჭიროა რუს-იაპონიის დროს სასტიკი ნეიტრალიტეტი დაიცვას.

**ლონდონი.** ნიუ-ჩუანიდან იტყობინებიან, ბიცზოვოს 10 ათასამდე იაპონელი გადავიდაო. როგორც ნამდვილ წყაროდან შეუტყვიათ, პორტ-არტურში სურსათი საკმაო არისო.

**პარიჟი.** დელკასემ მიანდო საფრანგეთის ელჩს, გამოუცხადოს სახელმწიფო მდივანს მარრი-დელ-ვალიუსს, რომ საფრანგეთს არაფრათ არ მიაჩნია პაპის პროტესტი ლუბეს მოგზაურობის შესახებ.

**ვაშინგტონი.** ამერიკელი ელჩი ტოკიოში დეპეშით იტყობინება, მტკიცდება ის ფაქტი, რომ იაპონელებმა პორტ-არტურიდან 40 მილის მანძილზე გადასხეს ჯარები ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზედო.

**პეტერბურგი.** 23 აპრილს, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელწოდების დღეს ცარსკოსელსკის სასახლის ეკკლესიაში ხელმწიფე იმპერატორის, ხელმწიფე იმპერატრიცების, ხელმწიფე მემკვიდრისა, დიდთა მთავართა და დიდთა მთავრინათა თანდასწრებით გადახდილ იქმნა წირვა.

**მოსკოვი.** სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარე თავადი ჩერბატოვი ისევ თანამდებობაში დაჩა,

**მიუნხენი.** გარდაიცვალა პროფესორი ლენბახი.

24 აპრილი.

**პორტ არტური.** 23 აპრილი. (საკ. კორესპ.) 23 აპრილიდან მტრის ესკადრა, შემდგარი ექვსის კრეისერისაგან, პორტ-არტურიდგან ცის ტატნობზედ სჩანს. მის იმპერატორებითის უდიდებულესობის იმპერატრიცის სახელწოდების გამო, გაიმართა აღლუმი და აგრეთვე შესრულეს ღვთის-მსახურება. გენერალ სტესსელმა თავის სიტყვაში, რომელშიაც მიმართა ჯარს, გაატარა ის აზრიც, რომ ახლა იწყობა ახალი ხანა ომისა, რომელიც კარგს არას უქადის პორტ-არტურს ხმელეთიდგანაო. აგრეთვე გამოსთქვა, რომ ღრმად დარწმუნებული ვარ კვანტუნის მცველების სიმტკიცეშიო. ჯარის-კაცები და მეზღვაურნი «ურას» ძახილით მეიგებნენ ამ სიტყვას. პარადს დაესწრნენ ესკადრის უფროსი ვიტგეფტი, გენერლობა, აფიცრები და აუარებელი ხალხი.—გენერალლეიტენანტმა სტესელმა შემდეგი ბრძანება გამოსცა: «მტერი 17 და 18 აპრილს გადავიდა იალუზე, ჩვენებმა წინად არჩეულ პოზიციებისაკენ დაიწიეს. გუშინ კიდევ მტერმა ბევრი ჯარი გადაიყვანა ლიაოდუნში, ბიცზივოს სამხრეთით, ნავსადგურ კინჩანას ახლო. ეხლა ჩვენი საქმე დაიწყება; მტერი რასაკვირველია რკინის გზას გადაგვიჭრის, ჩვენს ჯარს პორტ-არტურისაკენ დასწევს და ციხეს რომელიც სიმაგრეა რუსეთისა შორეულ-აღმოსავლეთში, ალყას შემოარტყავს თქვენ შეიმაგრებთ ჯარების მოსლამდინ, რომლებიც მოგვეშველებიან. ვალად მიმაჩნია მოგაგონოთ, საჭიროა ყოველთვის ფხიზლად, ყურადღებით და მზად მტრის დასახვედრათ და არ შედრკეთ. გახსოვდეთ, რომ ომის დროს ყველაფერი მოსალოდნელია და ღვთის შეწევნით, ჩვენ შევასრულებთ ჩვენ მიერ ნაკისრ მძიმე მოვალეობას.

**ჩიფუ.** იაპონელებმა ჯარები გადასხეს, პორტ-ადამსში. როგორც ამბობენ, ყველა საჭირო დოკუმენტები, სამხედრო კასსა და ფული პორტ-არტურიდან მუკდენს წაიღესო.

**ტოკიო.** (რეიტერ. სააგენტო). ისე კარგად გადიყვანეს იაპონელებმა ჯარები, რომ კაპიტანი ნომოტო იმ გემებით, რომლებითაც ტრანსპორტები გააცილა, დაბრუნდა ესკადრასთან შესაერთებლად. ჩიფუდგან უარს ყოფენ იმ ხმას, ვითომც იაპონელებს ნიუ-ჩუანი აუღიათო.

**სიმლა.** (რეიტ. სააგენტ.) 800-სი თიბეთელი შაი-ხანზეს მხრიდან 22 აპრილს განთიადისას დაეცნენ გიაგცეში ბრიტანიის მისსიას, მაგრამ უკუ აქციეს დიდის ზარალით.

ინგლისელების მხრივ ორი კაცი დაჭრილი.

**ბუდაპეშტი.** იოკაის დამარხვა მთავრობამ იკისრა თავის ხარჯით.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგნი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

22 აპრილი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,95 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,60 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,17½ |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | — |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 91 წვ. გაყ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | — |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 370 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 300 წვრ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 271 წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | 88⅝ წვ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 87½ წვ. გაყ. |


## განცხადებანი




ამერიკის
**ავტომობილები**
ბენზინით მოძრავი
**ველოსიპედები**
ბენზინის მატორებით.

**Акц. О-во „ЭНФИЛЬДЪ“**
**МОСКВА, РОЖДЕСТВЕНКА № 9.**

СПБ. Морская, № 30. (10—6—1).

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
**სამკურნალოში,**
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიური გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ზღვაზე, მდინარეებზე და ხმელეთზე ბარგის გადაზიდვისა და დამზღვევის ს.-პეტერბურგის კომპანიის

# „ნადეჟდა“-ს

ტფილისის სააგენტო ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ სააგენტოს საქონლის მთავარი საწყობი, რომელიც აქამომდე იმყოფებოდა ზუბალოვის სახლებში, კათოლიკეთა ქუჩაზე, 1904 წლის

**11 აპრილიდან გადატანილ იქნება**

მანთაშოვის ახალ ქარვასლაში, სომხის ბაზარში.

შესასვლელი ექზარხოსის მოედნიდან, სახელოსნო სასწავლებლის პირდაპირ.

საქონლის მიღება შეიძლება ყოველ დღე კვირა დღეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდის და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.

საწყობის ტელეფონი № 370. სააგენტოს ტელეფონი № 108. (5—6.—3)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

# ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).

**ტელეფონი № 741.**

აწარმოებს ვაჭრობას, ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი და წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთეულება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქი და ლაბორატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა და სხვა წყალი და მარილი, მრავალგვარი და მრავალ-ფერიანი სუპიროვარეში სამკაული თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვ.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ.



# სწორედ მუქთია,



იტყვის ყველა, ვინც გამოიწერს ჩვენგან მხოლოდ **5 მ. 45 კ.** ჩვენისავე გაგზავნით.

უგზავნით 7 შემდეგს ნივთს: 1) **საათი** გაშავებული ფოლადისა, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბუღდავანობით; 2) ... -ის ბუდე საათისთვის; 3) **ძეწკვი** საათისა, ქალისა ანუ კაცისა; 4) **ბრელოკი** ახალი, ოქროსი „კომპასი“, ანუ «ბინოკლი» საინტერესო სანახავით ან სხვ.; 5) ტყავის ქისა პულისთვის მთელის ნაჭრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბეჭდით; 6) **მუშტუქი** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ოქროს ბეჭედი** ... რობისა ან ჯიბის ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანა... ამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაეგზავნება, ვინც 6 მ. 75 კ. გამოგზავნის.

შეკვეთილი ნივთები გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და კეთილ სინიდისიერადბეს გამოგზავნა საჭირო არ არის, ნივთები ფასდადებით გაეგზავნებათ.

ადრესი: **სავაჭრო სახლი ფელიპიანი და კომპ., ვარშავა, 36—333**

P. S. აზიის რუსეთსა და ციმბირში ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადახდებათ და ნივთებიც მხოლოდ წინადვე ბეის მიღების შემდეგ გაეგზავნებათ.

3—6—2)


Дозволено цензурою Тифлисъ 24 апрѣля 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ, домъ арм. семинаріи.